

**შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (ს/ნ 245386363) 2020 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიში და განმარტებითი შენიშვნები**

ზოგადი ინფორმაცია

შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო (ს/ნ 245386363) დაფუძნებულია 1998 წლის 04 მაისს ქ. ბათუმის მერიის მიერ, მუნიციპალური საწარმო ქ. ბათუმის მერიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ქონების ბაზაზე. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია ქ.ბათუმის სასამართლოს 1998 წლის 28 სექტემბრის (რეგისტრაციის N01/04-982) დადგენილებით. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაფუძნებისას შეადგენდა 194 770 ლარს. საზოგადოების 100%-იანი წილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 12 მაისის N183 განკარგულებით, შესაბამისად პარტნიორის უფლებამოსილებას 2005 წლიდან ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის N01-01-3/144 ბრძანებით შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს დირექტორად დაინიშნა შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანია (ს/ნ 245399135).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 22 აპრილის N01-01-3/144 ბრძანებით დამტკიცებული იქნა შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს წესდება.

შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო ბოლო წლები არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

დაფუძნების შემდგომ პერიოდში საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელდა რიგი ცვლილებები და 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 2 350 198 ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 03 ივნისის N 01-01-3/205 ბრძანებით საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი იქნა 2 შვილობილი საწარმოს საწესდებო კაპიტალი 5700 ლარის ოდენობით და შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კაპიტალმა შეადგინა 2 344 498 ლარი.

31.12.2019 წლის მდგომარეობით შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საკუთრებად (მართვაში) რეგისტრირებული ჰქონდა 16 შვილობილი საწარმოს წილი ღირებულებით 517 878 ლარი:

Nº	საწარმოს დასახელება	საიდენტიფიკაციო ნომერი	საწესდებო კაპიტალი
1	შპს სამკაული	245427569	2000
2	შპს ქართულ-ამერიკული მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი	245435989	22012
3	შპს ქალაქ ბათუმის მერიის სამხატვრო- გამფორმებელი კომბინატი	245400908	5603
4	შპს ჩირაღდანი	246953792	51260
5	შპს ცისკარი	247860122	2030
6	შპს ნანა-99	245434089	2320
7	შპს აბაშიძის ფონდი	245431055	2581
8	შპს აისი	246951124	12990
9	შპს კლიშე	246956254	2532
10	შპს ტურბაზა ციხისძირი	246952043	17760

11	შპს ტურბაზა ჩაქვი	246953060	1830
12	შპს სასტუმრო მედეა	245424777	313350
13	შპს დასასვენებელი სახლი მწვანე კონცხი	248381665	11100
14	შპს ტალღა	246989095	200
15	შპს სტანდარტი	248386134	3000
16	შპს გამა	245427857	67310
სულ ჯამი			517 878

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, 25/11/2020 წლის N01-01-3/386 ბრძანების საფუძველზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 27 ნოემბრის NB20097910/03 გადაწყვეტილებით, განხორციელდა შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსთან (ს/ნ 245386363) 15 (თხუთმეტი) შვილობილი საწარმოს: შპს სასტუმრო მედეა (ს/ნ 245424777); შპს ტურბაზა ჩაქვი (ს/ნ 246953060); შპს დასასვენებელი სახლი მწვანე კონცხი (ს/ნ 248381665); შპს ცისკარი (ს/ნ 247860122); შპს ტურბაზა ციხისძირი (ს/ნ 246952043); შპს ნანა - 99 (ს/ნ 245434089); შპს ქალაქ ბათუმის მერიის სამხატვრო-გამფორმებელი კომბინატი (ს/ნ 245400908); შპს ქართულ-ამერიკული მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი (ს/ნ 245435989); შპს აისი (ს/ნ 246951124); შპს სტანდარტი (ს/ნ 248386134); შპს აბაშიძის ფონდი (ს/ნ 245431055); შპს ჩირაღდანი (ს/ნ 246953792); შპს ტალღა (ს/ნ 246989095); შპს სამკაული (ს/ნ 245427569); შპს კლიშე (ს/ნ 246956254) შერწყმა(მიერთება) შესახებ, მეწარმეთა შესახებ კანონის 14 მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით.

შპს ბითიეი კონსალტინგსა და შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიას შორის გაფორმებული 2020 წლის 30 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2 ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა შერწყმის შედეგად მიღებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა (ბალანსის) და კაპიტალის მოცულობის გაანგარიშების სისწორის დადგენა. შპს ბითიეი კონსალტინგის 09.11.2020 წლის N04/38-20 აუდიტორულ დასკვნაში შეფასებულია კონკრეტული საწარმოების ბალანსებში არსებული ცდომილებებიც, კერძოდ: „მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სვეტის ჯამური თანხიდან - 450 568 ლარიდან, 449 987 ლარი წარმოადგენს ფასს 10-ის 886-ე პუნქტის მოთხოვნების მიხედვით კორექტირებულ თანხას. 581 ლარი არის სხვაობა შპს „აბაშიძის ფონდის“ ფაქტობრივ საწესდებო კაპიტალსა (2000 ლარი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2009 წლის 26 ნოემბრის №822 ბრძანებით განსაზღვრულ კაპიტალს (2581 ლარი) შორის. პირველადი დოკუმენტაციის ანალიზის მიხედვით მიგვაჩნია, რომ სხვაობა გამოწვეულია მექანიკური შეცდომით, რომელიც ასახული იქნა იმ აუდიტორულ დასკვნაში, რომელსაც დაეყრდნო მინისტრის ბრძანება. შპს აბაშიძის ფონდის საწესდებო კაპიტალად 1997 წლის 31 იანვრის ქ. ბათუმის სასამართლო დადგენილების მე-3 მუხლით განისაზღვრა 1540 აშშ დოლარი. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგების 21-ე პუნქტის მიხედვით უცხოური ვალუტით განსაზღვრული ოპერაცია უნდა აისახოს სამუშაო ვალუტაში (ლარში) ოპერაციის დღის არსებული კურსით (სპოტ კურსით), ხოლო ამავე სტანდარტის 23.ბ. პუნქტის შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის გადაანგარიშება შემდეგ პერიოდებში კურსის ცვალებადობის მიუხედავად არ ხდება, რადგანაც ის წარმოადგენს არაფულად მუხლს (პ.16.). შესაბამისად, 2009 წლის 26 ნოემბრის აუდიტორულ დასკვნაში მითითებული 2581 ლარი სავარაუდოდ წარმოადგენს 1540 აშშ დოლარის გადაანგარიშებულ და დამრგვალებულ სიდიდეს, იმავე დღის კურსით 1 აშშ დოლარი=1,6757 ლარი. შესაბამისად, 581 ლარით შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ინვესტიციებისა და საწესდებო კაპიტალის შემცირება მართებულია.

საწესდებო კაპიტალის დადასტურების ფარგლებში ჩვენი ყურადღება მიიქცია 3 (სამი) ლარმა - ეს არის სხვაობა შპს ქალაქ ბათუმის მერიის სამხატვრო-გამფორმებელი კომბინატის საწესდებო კაპიტალის საბალანსო მონაცემებსა და პირველად დოკუმენტაციას შორის. ეს სხვაობა გამოწვეულია სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მითითებული კაპიტალის სხვადასხვა მოცულობის გამო. კერძოდ, წესდებით საწარმოს კაპიტალი შეადგენს 5 600 ლარს, ხოლო სასამართლო დადგენილებაში და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულია 5 603 ლარი. ჩვენს მიერ უტყუარ ინფორმაციად ჩაითვალა მოწოდებული დოკუმენტაციიდან ყველაზე გვიანდელი დოკუმენტი, სადაც დაფიქსირებულია საწარმოს კაპიტალი. ასეთია 1999 წლის 18 მაისის გადასახადის გადამხდელთა რეესტრში ჩართვისა და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების ფორმა, სადაც საწესდებო კაპიტალის მოცულობად მითითებულია 5 603 ლარი, რომელიც ეკვივალენტურია 1999 წლის 7 აპრილის აუდიტორული დასკვნით განსაზღვრული ქონების ღირებულების, რომლითაც შეფასებულია საწარმოში ქონებრივი შენატანი. შესაბამისად, აღნიშნული თანხით - 3 ლარით უნდა გაიზარდოს შპს ქალაქ ბათუმის მერიის სამხატვრო-გამფორმებელი კომბინატის საწესდებო კაპიტალის საბალანსო ღირებულება და ანალოგიური თანხით შემცირდეს გაუნაწილებელი მოგება/ზარალი ან/და სხვა რეზერვები, რათა საკუთარი კაპიტალი მოწოდებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი იყოს. მშობელი საწარმოს კაპიტალში შეტანილი ინვესტიციების მოცულობა მინისტრის 2009 წლის 26 ნოემბრის №822 ბრძანებით განსაზღვრულია სწორად და ის შეადგენს 5 603 ლარს. გამომდინარე იქედან, რომ შერწყმამდე მშობელი საწარმო ფლობდა თითოეული შვილობილი საწარმოს 100%-იან წილს, ფასს 10-ის მოთხოვნების თანახმად, შერწყმის შემდეგ მისი საწესდებო კაპიტალის მოცულობა ზემოთქმული კორექტირების გათვალისწინებით შეიცვლება, თუმცა მიერთებული საწარმოების საწესდებო კაპიტალით არ გაიზარდება. შესაბამისად, შერწყმის შემთხვევაში, შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 2343917 (ორი მილიონ სამასორმოცდასამი ათას ცხრაასჩვიდმეტი) ლარით.”

31.12.2020 წლის მდგომარეობით შპს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საკუთრებაში (მართვაში) რეგისტრირებული აქვს 1 (ერთი) საზოგადოება შპს გამა (ს/ნ 245427857) 87.06 %-იანი წილით. რომლის შერწყმა ამ ეტაპზე არ მომხდარა იმ საფუძველით, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შედგენილი არ არის. აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართეთ შპს გამას დირექტორს 10.03.2021 წლის N85/01 წერილით, რაზეც პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

წლიური შედეგები აისახება საზოგადოების ბალანსითა და საბუღალტრო ანგარიშებით, რომელსაც დირექტორი დასამტკიცებლად უდგენს პარტნიორს. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას საზოგადოება ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით. სამეურნეო წელი გრძელდება 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორი. საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლისთვის საზოგადოება უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

ორგანიზაცია აქტივებს ცვეთას არიცხავს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) დადგენილ ნორმებს შესაბამისი აქტივებისათვის.

ორგანიზაცია გადასახადების აღრიცხვასა და დეკლარირებას აწარმოებს სსკ-ის მოთხოვნების დაცვით.

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა კომპანიის მიერ აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარსადგენ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას:

აქტივი

(ლარი)

აქტივი	ანგარიშის ნომერი	2019 წელი	2020 წელი
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული საღაროში	1110	197	
ფული საბანკო ანგარიშებზე	1200	358	1250
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1410	766 872	766 872
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1435	1 250	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (საბიუჯეტო ... და სხვა)	1490	877	
სულ მიმდინარე აქტივები		769 554	768 122
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
საქონელი	1610	368	0
სხვა მიმდინარე აქტივები	1690	67 310	67 310
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		67 678	67 310
გრძელვადიანი აქტივები			
მანქანა-დანადგარები	2150	109	14
ოფისის აღჭურვილობა	2160	129	95
სხვა ძირითადი საშუალებები	2170	11 242	11 211
სატრანსპორტო საშუალებები	2180	35	28
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	2300	22 012	22 012
გრძელვადიანი ინვესტიციები	2400	517878	67 310
სულ გრძელვადიანი აქტივები		551 405	100 670
სულ აქტივები		1 388 637	936 102

პასივი

პასივი	ანგარიშის ნომერი	2019 წელი	2020 წელი
მიმდინარე ვალდებულებები			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	145 799	145 799
გადასახდელი ხელფასები	3130	177 143	177 144
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	3160	690	690
საგადასახადო ვალდებულებები (ერთიანი საბაზინო კოდი)	3300	2 627	1 799
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3390	332	332
სხვა დარიცხული ვალდებულებები	3490	254	254
სულ მიმდინარე ვალდებულებები		326 845	326 018
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5100	2 861 792	2 411 227
გაუნაწილებელი მოგება	5310	63 530	
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	5330	17 792	-1140
დაუფარავი ზარალი	5320	1 881 322	1 800 003
სულ საკუთარი კაპიტალი		1 061 792	610 084
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 388 637	936 102

მოგება-ზარალის უწყისი

მოგება-ზარალის ანგარიშგების შესახებ ანგარიში - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2019 წელი	2020 წელი
საოპერაციო შემოსავლები	0	0
არასაოპერაციო შემოსავლები	17 886	601
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	70	3
საბანკო მომსახურების ხარჯი	10	
საბიუჯეტო გადასახადების ხარჯი	14	2
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		1 736
სულ შემოსავლები:	17 886	601
სულ ხარჯები:	94	1 741

მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	17 792	-1 140
------------------------------------	--------	--------

ფულადი ნაკადების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	2019 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	555	555
მათ შორის ფული სალაროში	197	197
ფული ბანკში	358	358
შემოსული ფული - საოპერაციო საქმიანობიდან, მათ შორის:	0	0
სხვა შემოსავლები	0	695
ადმინისტრაციული ხარჯები	0	0
სხვა ხარჯები	0	0
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	555	1 250
მათ შორის ფული სალაროში	197	0
ფული ბანკში	358	1250

საწარმოს კაპიტალში ცვლილებები

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ

(ლარი)

	2019 წელი	საწესდებო კაპიტალში ან რეზერვებში დამატებითი შენატანების შეტანა (+) ან გამოტანა (-) გარდა მიწისა	2020 წელი
საწესდებო კაპიტალი	2 861 792	-450 565	2 411 227
დაუფარავი ზარალი	1 800 000		1 801 143
სულ საკუთარი კაპიტალი	1 061 792		610 084

შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის

დირექტორი ნათია პატარაია

ნ. ნათია